საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

12/01/2024
N 09-02-16/5

5-09-02-16-2-202401121525

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის მინისტრს ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

**სადეპუტატო კითხვა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 31 დეკემბრის N 834 ბრძანების თანახმად, 2011 წლის 21 აპრილს აჭრის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და შპს "ADOG-GEORGIA" შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად შპს "ADOG-GEORGIA"-ს ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 თვის ვადაში შეძენილ მიწის ფართზე ს/კ 05.21.19.009 თვითმმართველ ქალაქ ბაათუმის მერიასთან შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, უნდა აეშენებინა და ექსპლუატაციაში შეეყვანა არანაკლებ 22 სართულიანი შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსდებოდა სასტუმროს არანაკლებ 100 ნომერი და კაზინო. დღეის მდგომარეობით, ხსენებულ მიწის ნაკვეთზე არ არის ნაწარმოები მშენებლობასთან დაკავშირებული არცერთი სამუშაო. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედით, მიწის ნაკვეთვის მესაკუთრე შეიცვალა. სასამართლოს გადაწყვეტილებით არის აკრძალვა და გადაცემულია აღსრულების ეროვნულ ბიუროზე. გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. ხელშეკრულებით გათვალკისწინებულ ვადის გასვლის შემდეგ შპს "ADOGGEORGIA"-ს გაუგრძელდა თუ არა პირობის შესრულებისთვის ვადა? დადებით შემთხვევაში მოგვაწოდოთ დამადასტურებელი დოკუმენტები.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ შპს "ADOGGEORGIA" გამოყენებული იქნა თუ არა საჯარიმო სანქციები? მოგვაწოდეთ შესაბამისი დოკუმენტები.

3. ინფორმილებულია თუ არა გამყიდველი მხარე (აჭარის ა/რ ეკონომიკის და ფინანსათა სამინისტრო) სასამართლოს გადაწყვეტილების და აღსრულების წარმოების შესახებ, მოგვაწოდეთ დოკუმენტები რაც დაკავშირებულია დავასთან.

4. მოხდა თუ არა გამყიდველთან (აჭარის ა/რ ეკონომიკის და ფინანსათა სამინისტროსთან) შეთანხმება მიწის ნაკვეთის მესამე პირზე გასხვისების შესახებ, გასხვისბის ღირებულება. მოგვაწოდეთ გასხვისებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

პატივისცემით

ლევან ანთაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები